საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №1279
2013 წლის 11 დეკემბერი

ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 ბრძანებით (სსმ III, 04.08.2010 წ., №96, მუხ.1421) დამტკიცებულ წესდებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. მე-7 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

,,დ) შეიმუშავებს ლიცეუმის ბიუჯეტს, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრს ან მის მიერ უფლებამოსილ თანამდებობის პირს;";

ბ) პირველი პუნქტის ,,დ” ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ,,$დ^1$” ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

,,$დ^1$) მინისტრთან ან მის მიერ უფლებამოსილ თანამდებობის პირთან შეთანხმებით ამტკიცებს საშტატო ნუსხასა და სახელფასო ფონდს; ”;

გ) პირველი პუნქტის ,,$ზ^3$“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

,,$ზ^3$) მინისტრს წარუდგენს ,,ლიცეუმის” სამხედრო მოსამსახურეებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებაში წარგზავნის მიზნით;";

დ) პირველი პუნქტის ,,$ზ^3$“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ,, $ზ^4$” ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

,,$ზ^4$) ახორციელებს ლიცეუმის მოსამსახურეების, გარდა სამხედრო მოსამსახურეებისა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებაში წარგზავნას;";

2. 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა;".

3. 27-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ლიცეუმი საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებთან და სამხედრო მომზადებასთან ერთად ახორციელებს პანსიონურ მომსახურებას, უზრუნველყოფს კადეტებს საცხოვრებელი პირობებით, სამედიცინო მომსახურებითა და კვებით დადგენილი ნორმების შესაბამისად, ხოლო იმ კადეტებისათვის, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ სწავლა გააგრძელონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ლიცეუმი უფლებამოსილია უზრუნველყოს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის საფასურის გადახდა და ზემოაღნიშნული მომსახურება ერთიანი ეროვნული გამოცდების დამთავრებამდე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი

ირაკლი გეგეჭკორი